

Handwritten signature or initials in the top right corner.



№ 10 გაუმარჯოს თავისუფალ ხელშეწყობას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ კავშირებს!

ფესტი 10 მანათი

„თეატრი და სპორტები“

წლიურად 100 მან., ნახევარი წლით 60 მან. თითო ნომერი — 10 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პარდაპირ; ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და სპორტები“ იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4-73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე
სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ.



კვირა, მარტის 14.



გამოშვება 1920 წ.



შალვა დადიანი

მსახიობ რეჟისორი და დრამატურგ-მწერალი
(25 წ. მოღვაწეობის შესრულების გამო მარტის 17
საარტისტო საზ.ის თეატრში დაიდგმის მისივე ახალი პიესა „გეგეკორი“).

სახელოვნო—სათიასტრო—სალიტერატურო სურათიანი ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

დაარსებულია 1910 წ. გამოდის ყოველ კვირა, თითო № 10 მ. წლიურად ჯერჯერობით 100 მანათი, (შეიძლება ფასი მოემატოს). ხელის მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაში (ბახრის ქ., ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახლი არჯევანიძისა, № 20)

(ჟურნალის საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად მიიღება შემოწირულებაც).

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

მუხათა მეჯლისი

მუხათა ვინაობა თუ ძველმა ბერძნებმა გამოიცნეს, მათი სამეჯლისო კორდი საქართველოს წალკოტში უნდა ყოფილიყო და ქართველებიც არ იყვნენ მუხათა უცნობნი. განსაკუთრებით ნეტარი —თამარის და მზიურ შოთას ჩრდილოს ქვ შ ნებიერობდენ მუხანი,—მაშინ, ოდეს ქართველი რაინდული სულით იყო მოსილი, თავისუფლების დროშის ქვეშ გალაღებული...

მის შემდეგ ველურ ურდოების მრავალ გზის თარეშმა ჩვენის კეკლუც სამშობლოდან გაფრთხო მუხანი, ხოლო თუ 17—18 ს. კვლავ მოგვიბრუნდენ, ყინულების თეთრი დათვის თათმა მიამკვდარა.

და ველარ ვსჭერტლით მუხათა მეჯლისს! რუსთა უხეში ბატონობა ეგოდენ მძაფრი იყო, რომ დღესაც-კი, თუმცა თავისუფლების მზით ვსტკებით, მუხანი მაინც ვერ მოვიზინაურეთ...

მელობამენა შემოსწყრომა ჩვენს თეატრს, რამეთუ მუნ უმეტესად ენა-გრძნობა ბრგვილი პარპაშებენ, პოლიპინია ველარ გვასმენს ჰანგთა მრავალხმოვანებას და საღვთო სიმღერებს, თითქო ქნარის გამოკვეთაც კი დავიწყებია, ვინაიდან ამას უმეტეს სმენით ბლაგვნი; გადარჯულებულნი ანუ უცხონი ეპოტინებანი; ტალია ჟამისი ჟამად თუ მოიგონებს კომედიას და ლირიკოსთ, უცხო—უგრძნობნი ან ნილაბოსანი დაჯირითობენ, ურანია ვერლა გვაცნობს ვარსკვლავთა ციმციმს—ჯერ კიდევ ცოდნის ცეცხლით ვერ განვწმენდილვართ; კალიობა თუმცა მეტყველობს, მაგრამ არა იმ ენაშეგობით, სიღამა-ზით და უმაღლესი განცდით, მას რომ სჩვევია, რამეთუ აქ ნიჭიერთ კი არ ეთობა გზა, არამედ მოძალადეთ; კლიოს გასწყვეტია ძაფი ჩვენის წარსულის და ერის შემოქმედებისა, რადგან ჯერ კიდევ არ გადასცლია თვალთა

ბინდი; ტერპსიხორა ქართველურ-ჩვენებურად ვერ მოილხნეს—ვერც ცეკვავს, ვერც მღერის, ვინაიდან უცხოურმა დავერდილა მანქანებით; ევტერბა ცდილობს მშობლიურ მუსიკის ჰანგთ მიავნოს, მაგრამ აქაც პიროვნული შუღლი ერთი მეორის სიმთ სწყვეტავს; ერატო ჯერ კიდევ წმინდა სიყვარულსა და ტარიელ-ნესტანურ მიჯნურობას ვერ დასწევებია, რადგან აქ უფრო სიტყვის ჯამბაზნი ასპარეზობენ.

და ვართ ასე გაყინულ-გათოშვილნი, უსულგულონი ან ყაღბნი.

თუ ჩვენში მუხათა ხამდელი მეჯლისი არ გაიმართა, თუ მათი სხივისნობა—ელგავრება დაიდუმლო გრძნობელობა არ გვეუფლა—ვაპ, რომ უქმი იქნება ჩვენის სიათას მიზანი და ფრანგულის კრიალი...

დრო კი დადგა, რომ ჩვენში მუხათა ისეთი მეჯლისი გაიპართოს, რომელსაც მოწინავე უცხოელნიც კი გაუმადლარი სიხარბით გაუმიჯნურდებიან

ამის შესაძლებლობა კი არის.

დემოკრატია ვითარდება, ბურჟუაზია ყალიბდება...

ხოლო თუ ეს ვერ მოვხებრხეთ, მუხანი ვერ მოვიზინაურეთ, დამნაშავე ჩვენივე არა გულწრფელი მასპინძლობა იქნება.

ქართველობას კი როდი სჩვევია არა გულწრფელი მასპინძლობა,—ქართველი მუდამ უხვია—თუ არ გადაუხვია...

ამისათვის კი საჭიროა, ჩვენის მეცნიება ხელოვნების ყველა დარგის მესაქეთა გონივრული-შეთანხმებუ ლი მუშაობა, რომ მუხათა ქეშმარიტი მეჯლისი ვიხილოთ...

ნარეკალი უნდა ვაწაღდოს, მკრეხელთა და ბინძურთაგან მუხათა, სავარძლები გაფაქიზდეს...

ვისი ვალია ეს?

იოსებ იმედაშვილი



შალვა დადიანი და ელ. ანდრონიკაშვილი

(შალვა დადიანის წარმოდგენის გამო საპარტიო თეატრში მარტის 17)

მ რ ი ზ ვ ა რ ა

I შალვა დადიანი

ვისაც თვალი დღეს აუხელია, განსაკუთრებით 1917 წ. მარტის შემდეგ, ის ვერც კი წარმოიდგენს რა ბუმბერაზულ შრომას ეწეოდა ქართველი მსახიობი დღევანდელი დღისთვის გმირების აღზრდაში, რა თავგანწირული, თავზე-ხელაღებული უნდა ყოფილიყო, რომ ჩვეულებრივი, გატყეპნილი გზა ცხოვრებისა მიეტოვებინა და ერის ან ხელოვნების წმინდა სამსახურს შესვლომოდა.

ვაუკაცობა ის კი არ არის, რომ დღეს ყოყლოჩინებდნენ უკვე თავისუფალ სამშობლოში, რომლის მწვერლოდა და თეატრი არა თუ პატივდებულია არამედ რესპუბლიკის ყველა მოქალაქისთვის სავალდებულო რომ იყოფოდა, თუ მსურს ქართველად ან საქართველოს შვილად იწოდებოდეს, არამედ მას უამს შინა, ოდეს ყოველივე ქართული იდენებოდა, ჩვენი ხელოვნება აბუჩად იყო აღებული და ძალნი ჯოჯოხეთისანი დაუზოგველად სდევნიდნენ ჩვენის ეროვნული სულის მატარებელ ტაძრის მსახურთ.

შალვა დადიანი იყო ერთი იმათგანი, ჩვენი მსახიობის საშუალო თაობის ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, რომელმაც უარბჭო და დე გვარიანობა და ქართველი მწვერლისა და მსახიობის მძიმე უღელი დაიდავა.

იქნება ის იმდენად დიდი ხელოვანი მსახიობი მაგრამ რომ დიდი მოქალაქე-მამულშვილი იყო, ხელოვნების ერთი უანგარო და თავდაუზოგველი ქურუმი,— ამას ვერაიენ უარბჭოვს.

დიდ ქართველ მწიგნობარ მამის ოჯახში აღზრდილმა, მშობლიურ ნიდავზე თვითგანვითარებულია არა ერთი და ორი ათეული წერილი უძღვნა

მშობლიურ ხელოვნებას, მწვერლობას და სხ. თითო-ოთხეული მისი სიტყვა დიდი ოსტატის ხელით ჩამოყალიბებულია და ნათელი...

საპუბლიცისტო წერილებს გარდა მრავალი აქვს ესკიზები, პიესები და სხ.

მაგრამ მისი დეწლი კიდევ უფრო ფასდაუღებელია, როგორც მოგზაურ დასის ხელმძღვანელის, რომელმაც ათი-თხუთმეტი წლას წინად დასავლეთ და სამუსლიმანო საქართველოში არა ერთი და ორი წარმოდგენა გამართა...

და ყოველ დარგში მუდამ ახალის მოტრფილი, მუდამ წინ-წინ მიიღებოდა...

მწვერლობა-მსახიობობის გარდა აღსანიშნავია მისი პრაქტიკული მუშაობა მწვერალთა, მსახიობთა თუ სხ. კავშირებში...

მან თავისი წოდებრივი თვადობა, არისტოკრატობი ქართულ მწვერლობასა და სცენაზედ გამოიტანა და თავისებური ბეჭედი დასცა.

და ეს ხელოვან-ქურუმი, რომელიც მთელი 26 წელიწადი ემსახურებოდა ქართველი ერის მზიანი დღის გათენებას, დღეს, როდესაც ეს მზე ამოგვივიდა, თითქმის მიგდებულია გამოწურულ ლიმონის ჩენჩოსავით... დღეს თითქო ეს ცეცხლიც აღარ აქვს, სხვებს რომ გულს უხურებდა, ხოლო უკვე თავისუფალ სამშობლოს მზის ქვეშ ნებებოდნენ მოკალთებულთა არც კი ასხვოთ ვინ იყო შალვა დადიანი!

ნუ თუ მარტის 17 მაინც არ მოგვინებენ ამ ნაამაგდარ მოღვაწეს?—ამ დღეს ხომ გვეშვიდობება და, მრავალ შრომისგან მოქანცული, დასასვენებლად აპირებს წასვლას! მით უმეტეს, რომ ამ დღეს ის ახალ თავისს ორიგინალურ პიესას გვიჩვენებს.

ნუ თუ, ნუ თუ ყრუდ დარჩება ქვეყანა ჩვენი!?

II სოფლიო რომანიშვილი—დგებუპისა.

ვის გახსოვთ ავჭალის ქუჩაზე მოთავსებული კიკნა „თეატრი“—დღევანდელი კი არა, წინანდელი, ვის გახსოვთ, როცა საზოგადოდ ქალბ სცენის-მოყვარენი სანდლით სძებარნი გვეყავდნენ, როცა ძლივს მოვიახლოვეთ კატო წულიკიძის ასული, ან. ჩაიზიბა, მარიამ დემურისა... როცა ჩვენ ხელ-პირ გარუყული ქარხნის მუშა-სცენის მოყვარეთ ვაგრე რიგად არავინ გვეყვარებოდა?

ეს იყო ამ 20--25 წლის წინად. და, აი, სწორედ ამ დღის მოგვევლინა რომანიშვილის ასული სოფლიო, აწ მუდამ დგებუპისა, დაი სოსო რომანიშვილის...

ხალხისგან სცენის მოყვარეთა გამახსარავება, სივიწროვე, სხაღბო თეატრის ახალი ტრადიციების შესაქმნელი მუშაობა, ყოველი მონაწილისგან სცენაზე თამაშის გარდა სუფლიორის ხელით დეკორაციების დაკიდება, ავეჯის შოვნა და მრ. სხ. ქალთა

ნაკლებობის გამო ყოველნაირი როლის აღსრულება, ვარდა ამის სარტყეტიციოდ—კერძო სახლის გაქლევა, ხარჯი... ვინ მოსთვლის?..

დღეს რომ არა თუ მდებო ხალხი, მოწინავე საზოგადოებაც რომ სახალხო სახლში სტყება, ამ სახალხო სახლის საძირკველში ერთი თვალსაჩინო ქვის ჩამგდები სოფიოც იყო...

ჩვენი დემოსი რომ შეგნებულ დემოკრატიათ შეიქმნა, თვითცნობიერების გზას დაადგა, სამშობლო მწერლობა და ხელოვნება შეიყვარა, თვისი მეკრდით თვითარსებობა მოიპოვა, თავისუფლების დროშა ააფრიალა და საქართველოს დამოუკიდებლობას შეგნებებით იცავს,—ამაში სოფიოც არის მონაწილე...

სახალხო სახლის სცენის მოყვარება წრეს განუზრახავს ამ მოკლე ხანში სოფიო რომანიშვილს 20 წლის მოღვაწეობის სახსოვარი საღამო გაუმართოს.

ამაზე უკეთეს ვერას მოიგონებდა. პირველი შემთხვევა, რომ სცენის მოყვარე ქალს იუბილეს უმართავენ.

სოფიო რომანიშვილის საპატივისცემა საღამო მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად აღიზარდა ჩვენი ხალხი,—წინადა თუ სახალხო მუშაკ—სცენის მოყვარეს ხშირად ტალახით და ნარეკლებით უფენდენ გზას, დღეს ია-ვარდით მოუფენენ.

და, დაე, სოფიო რომანიშვილის მოღვაწეობა და ამ ნამოღვაწევის შეფასება სახალხო სცენის ყველა მუშებს სულიერ-ნივთიერ მიძიმე განცდის წუთებში უჭრობელ კანდელად მიუძღოდეს წინ...

ვაშა ამ ხალხთ—შალვა დადიანსა და სოფიო რომანიშვილს, რომელთაც თვისი ძალ-ღონე ხალხის გათვითცნობიერების საშუალებლო ზეარაკად მიიტანეს...

იოსებ არიშთიელი



ქართლის გლოვა

ზარსა ჰრეკენ, გლოვის ზარსა: საქართველო სტირის ქართლსა. ქართლის დედა მწუხრის ცრემლით ნანგრევებში სძებნის მკედარსა!.. დედა ტირის, შეივს დაძებებს, დანაკარგი კიდევ არ სჩანს... დიდი, მცირე, ქალი, კაცი უკუღმართ ბედს ცრემლებში ჰბანს!.. ზარსა ჰრეკენ, გლოვის ზარსა: საქართველო სტირის ქართლსა!..

ჩამორჩენილი



განცლათო პარნახი

IV

სიცოცხლის დღენი

I

ნორჩი სიცოცხლის ყვაილები ნაზად, ვშხით იშლებოდენ.

ორივე სიკაბუჯის გარიერაზე და ეპოთა დასაწყისის პირველ გაზაფხულზე უტყუარ გრძნობით სიყვარული ჰიშნებს უგალოზდენ ერთმანეთს.

— ქვეყანა ჩვენი სულისა და გულის ფინანსია, მზე ჩვენი პირველი სიყვარულის მაცისკრავნებელი.

ეტყოლა ქალი.

— ყველა არსნი: ხენი, კლდენი უტყენი და მეტყველნი ჩვენ გვიცინიან...

იტყოლა ვაჟი.

მათ წინ არე-მარე უჩვეულო სურათებად იშლებოდა.

იყვენ ადამიანები—მათ ამუსიკებულ სულს დღენიდენ.

ღვთიურ ცეცხლის პატარა ნაპერწკლების ცილი ვერ აეტანათ.

თელს ვერ უმაგებდენ.

— ჩაეკოლოთ! არ გვიანდა! ნუ მივცემთ სიცოცხლის ნიადაგს.

სისინი ყრუ იყო.

სიყვარულის გრძნობა ძლიერი გამოდგა.

— წვიდეთ სადმე შირს, მთვარეზე გაჯავასახლდეთ, ვარსკვლავები მცველად მოგვევლინება.

— არა, ზღვის ტალებში შევკურდეთ! ჩვენი სიყვარული ისე წმინდა და სიწმიდით მსუბუქია, რომ არ ჩაიძირებთ.

მაგრამ ისევ ძირს იყვენ.

ისევ ჩემი, ათას-წლოვანი ტყე იყო მათი მფარველი, ყოველი ბუჩქი მათი პაემანის უსიტყვო დარაჯი.

— მოდი ჩავეკრათ ერთი მეორეს!.. დაე, წუთებმა შექმნას საუკუნე. ტანჯვამ და დენამ მოგვანიჭოს სულის სიმტკიცე.

— ჩვენ ვერვინ დავაშორებს!..

და იწერებოდა რომანის მშენებელი ფურცლები. იქარგებოდა მოგონებათა ფერადი ფოთლები... და ორი სული მჭიდროთ ინსაკებოდა.

II

შეერთებულნი, განვლილი აღმაფრენით მოღლილ-მოქანცულნი, სიყვარულის სტიქიურ სრბოლაში გამოაწრთენილნი აგრძელებდენ ღარიბ ცხოვრებას.

სიღარიბეს ჩრდილავდა მოგონებათა სურათები. არსებობისთვის სორომა მათ დილა ადრინა აშორებდა ერთი-მეორეს.

სალამოთი დალილილ-დაქანცულნი მოდიოდენ ღარბ ჰერ ქვეშ.

— მოდი.. ჩავეკრათ ერთი მეორეს! ნუ თუ ჩვენთვის არ არსებობს ტრფობა, ალერისი?!

— მოდი!—და გვერებოდენ ერთი მეორეს.

— კარგი, დრო ვადის, დავიძინოთ დილას ადრე უნდა წვაიდეთ.

— ღმერთო!

— შორდებოდა ორი მილილილი, მაგრამ მხურ-ვალე ბაგე ერთი მეორეს!

ისევ შრომა, ყოფნის მძიმე სევდა.

და ხანგრძლივი ლოდინი...

III

მოხუცნი, თეთრი თმით მოსიღინ ნაოქიანი სახით შესცქერიან ერთი მეორეს.

— რანი ვართ?

იწყებოდა მგლოვიარე საუბარი ამა ქვეყნის წუთიერებაზე.

— მაღე დავიხოცებოთ. .

სიჩუმით ანიშნებდენ ოთხი ცრემლიანი თვალი ერთი მეორეს.

— გახსოვს?.. და იფურცლებოდა მოგონების წიგნი.

კითხულობდენ მშვენიერ მინიატიურებს.

— მე რომ... .

და ახლდებოდა ესკიზები.

— წვაიდეთ, ენახათ ნაცნობი ადგილები.

წვაიდენენ... ტყე ისევ ძველი სახით გამოიყურება.

— სად არის ჩენი ბუჩქები?

— აქ არ იყო!

— ეხლა არ არის. გამხმარა.

— ახალი ამოსულა.

— ძველი?

— ნიადაგს შეერთებია.

და ორ ნაოქიან სახეს ცრემლები ვერცხლის მძივებად აეკინძენ.

— ფრინველნი აღარ გალობენ.

— გალობენ, მხოლოდ ჩვენ არ გვიგალობენ.

— წვაიდეთ... დავიღალე...

— წვაიდეთ...

და ორი აჩრდილი ნელა მიდიოდა ვიწრო ბილიკზე...

ღამდებოდა...

კ. გერგუაელი



რ მ მ ა ნ ს ი

თუმც ზამთრის სუსხმა გამიხმო ვარდი უქცრობი გულისა, რა უყოთ, შენ ხომ ჩემთან ხარ კავშირო — სიყვარულისა!..

მე თუ მოვკვდები, არ ვჩივი ჩემ ტანჯულ ბედის წერთა, ოღონდ შენ დასტკები, ლამაზო, მზისა და მთვარის ცქერითა!..

ა. კლიმიაშვილი



თათრის ზამბახი

შენს უხილავს, მშვენიერ ბაღჩაში სდგას ყელ-მოღერებული ჰაეროვანი თეთრი ზამბახი!..

შეზხარის, დაუსრულებლად შეზხარის თავის სისუფთავეს, სინაზეს, უცოდველობას!..

შენც დღე-მუდამ უფლი მას:

ღილით ენების ღიმილით არხვე, სალამოთი კი-სინანულის ცრემლს აპკურებ

მის გამჭვირვალ, ნაზ ფოთლებს.

ნება მომეცი, ჩემო ცუფრუმელავ, მოვწყვიტო იგი, ვიღრე ქორფთა, ახალგაზრდა, სურნელოვანი.

ვიღრე შემოდგომის სუსხი არ მიპკარებია დამაზრობელ, ბოროტ ფრთებითა...

შენს უხილავს, საოცნებო ბაღში სდგას ყელ-მოღერებული თეთრი ზამბახი!..

მომეც, მომეც ნება, ჩემო კარგო, მოვწყვიტო იგი...

დავწვა უმანკო ლტოლვით, გიჟურ სურვილით ავათრთოლო მისი არსება.

ვაჩვენო ახალი ცხოვრება—

საიღუმლო ქვეყნის არარაობისა!..

მაშინ იგი ცოდვიანი კვლავ იცოცხლებს, უკუ ავდებს სიცოცხლის ხან-მოკლეობას; ჩემთან ერთად გადააქსნის დაფარულ

საიღუმლოს ფარდას,—

გაიგებს ცხოვრებას!..

შენს უხილავს, ლამაზ ბაღჩაში ჰყვავის სურნელოვანი თეთრი ზამბახი!..

მისი სიცოცხლე ხან მოკლეა!..

მაშ ნება მომეცი, ჩემო ოცნება, მოვწყვიტო იგი — თორემ!..

მაღე შემოდგომის სუსხი დაზრობს მას

და, თვით ინანებ—

ინანებ რომ არ მომაწყვიტონე!..

არჩილ მაკავარიანი



პეტრე პავლეს ძე გელიევიძი.
(ყარბი)

ცნობილი პუბლიცისტი, ძველი პოლიტიკური მოღვაწე, მიწათმოქმედების მინისტრის ნამახანავარი, რესპუბლიკის სამეცნიერო არქვთა დეპარტამენტის გამგე, — მისი ახალი შრომის „Красная книга“ ს გამოყვლის გიწო.

წითელი წიგნი

ხმალი იმოღვს ევრას იქმს მრისხანე და ძლიერიო, რასაც იქმს მშვიდობიანი კალმის პატარა წვერიო..

ილია ჯავჭავაძე

ჩვენმა მეზობლებმა, — მე ვამბობ — სომეხთა ოფიციალ ნაწილზე, რომელიც ჩემულობს ერის მესვეურობას, — ალბად კარგად იცოდენ ზემორე სიტყვების აზრი, რომ როდესაც იარადის უღარუნით აქ ვერაფერს გახდნენ, ხელი მიჰყვეს თავის ჩვეულე ბრიე ხერხს: უყვითა შორის ენის სისინს, — კორიკანობით სავსე წერილებით ევროპაში ჩვენს საწინააღმდეგო მოქმედებას, ქართველი ერის დამცირებას და თვის უბედურების მიზეზად ქართველი ხალხის მესვეურთა გამოყვანას, ის-კი დაავიწყდათ, რომ

„პატოხანთ მტერთა შორის მოციქული ნამუსია“.

უნამუსობის გზაზე შემდგრებმა, საერთაშორისო უფლებების უცნობებმა და არშინ-ვირეანქის ფსიქოლოგიით მოსილებმა ის ვერც კი წარმოიდგინეს, რომ მეზობლის ჩამწიხლავს ვერაოდეს ელხინების, სხვისი სამარის მიხურელი თითონ ჩავარდების სამარეში და რომ... ერთი სიტყვით უხსოვარის დრო-

იდან მეზობლურად მცხოვრებ ერთა შორის, თითქმის სისხლით დანათესავებულ მეზობელთ შორის შეუღლის ჩამოგდება — უბედურებაა, დიდი უგუნურება!..

ალბად ყველას მოეხსენება უკვდავ ილია ჯავჭავაძის „ქვათა ლაღი და სომეხთა მეცნიერნი“, შეურყეველი საბუთებით რომ გვიჩვენებს სომეხთა ცრუ მეცნიერთა და პუბლიცისტ მოღვაწეთა სიყალბეს, ქართველთა წინააღმდეგ მინარტულს... გვეგონა, ეს წიგნი ბევრს რამეს ასწავლიდა ყველა იმათ ვისაც სიბნელის ბინდი აკრავს თვალებზე და სიკრუით უნდა ლელოს გატანა... მაგრამ არა! არა თუ ამ წიგნმა, რუსეთის დიდმა რევოლიუციამაც ვერ გამოაფხიზლანენი მეზობლების შოვინისტი-მესვეურთა ბი და ჯერ იყო ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში ათას ევრო ყალბი ცნობებით მოედ ვეროპაში ჩვენი ერის საწინააღმდეგო ქსელები გააბეს; ბოლოს აღდგენ და ამ ყალბის ცნობების კრებული როსტოვში გამოცემეს „წითელი წიგნის“ სათაურით, რომელიც სომეხთა უბედურების მიზეზად, სხვათა შორის, ქართველი დემოკრატების მეთაურთ აღიარებს ..

მაგრამ შუბი ტომარაში არ დაიძალა და წვერი ამოჰყო! — მოვიდა სეტყვა — დახვდა ქვაო, — სწორედ ასეთ ქვად დაჰხვდა ამ დღეებში თბილისში გამოცემული ცნობილ პუბლიცისტის ყარბის „წითელი წიგნი“ (რუსულ ენაზე — Красная книга). ჩვენ არ გვახსოვს სხვა რომელიმე წიგნი, ილიას „ქვათა ლაღის“ შემდეგ, ასე მიუღვლომელი და შეურყეველი საბუთებთ სავსე... წიგნის ფასს კიდევ ის უფრო აორკვეებს, რომ იგი დაწერილია არა რომელიმე შოვინისტ-ნაციონალისტისაგან, არამედ ცნობილ ინტერნაციონალისტის კალმით...

წიგნში ისტორიული სინამდვილით აღნუსხული და მიუღვლომად გაშუქებულია სომეხთა სარევოლიუციო მოღვაწეობა ოსმალეთში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და სომეხთა საქციელი, — კვალ-და-კვალ განხილულია კავკასიის ერთა უკანასკნელი სამი წლის ცხოვრება-ურთიერთობა, პოლიტიკურ-სოციალური ცვლილებანი, გაშუქებულია ქართველ-სომეხთა ომიანობა, ქართველთ ვითომდა გამტკემლობა, ლტოლვილთა საკითხი, სახლვრები და მრავ. სხ.

წიგნი დაწერილია მშვენიერი და ნათელი სტილით, ყოველი საკითხი ჩამოგვირისტებულია... მაგრამ ნაკლიც აქვს: ავტორი თითქო ძუნწობსო, ბევრი რამ უთქმელი რჩება... და ეს ალბად იმიტომ რომ სჯერა — ჩხუბის დროს ისეთ რამეს ნუ იტყვი, რაიც შერიგების დროს გავაწითლებსო... და ჩვენ — კავკასიის ერნი, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა შევირგდეთ!..

ჩვენი მიზანი არ არის ამ წიგნის დაწვრილება. თი განხილვა, — ყველა, ვისაც სურს ქეშმარიტების გაგება, შეგნება ჩვენი და სომხების ურთიერთობისა, ეს წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხოს... აუცილებლად საჭიროა, ეს წიგნი ვადითარგმნოს არა მხოლოდ ევროპულ ენებზე — ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და სხ., — სადაც სომეხთ კაცქამეებმა თვისი ყაღბი „ისტორიულ-მეცნიერული“ ქსელები გააბეს, არამედ ქართულად და სომხურადაც, რათა ამ ორივე ერის მდაბიო ხალხმა, დემოსმა, ვაიგოს ვინ არის ის ბოროტი სული, ის კალმის ავაზაკი, რომ კეთილმეზობლურ ცხოვრების წყაროს აგრე ამღვრეს...

და რაც უფრო ადრე და მალე გამოიჩნის, კება ნამდვილი ბოროტების სათავე, იმდენად უფრო ადრე და მალე გამოგვიშუქებს ძმობა-ერთობის მზე...

ამ წიგნით ნათლად წარმოგიდგებათ ის უმართებულო, მწერლობის და ისტორიის შეუფერებელი ომი და ქვებუდანობა, რომელსაც ბ-ნი ჩაღბუშინანი და ძმანი მათნი აწარმოებდენ საქართველოს წინააღმდეგ.

რამოდენიმე წლის განმავლობაში იგინი სთხრიდენ საქართველოს უცხოელთა თვალში, ათასნაირ ცილს სწამებდენ, მგრაჰმ... უცებ კაცა გამოთხარეს ყარბის მშვენიერი „წითელი წიგნის“ სახით...

დაე, ისიამოვნონ!..

ეს წიგნი კიდევ ერთხელ ფარჯასა ჰხდის ჩვენი დამოუკიდებლობის მტრების სულის კვეთებას...

ქართველმა ქეშმარიტმა მწერალმა ჯერ კიდევ ილიას სიტყვით იცის, რომ

ამოწვიდის ხმაღსა მტრისასა
წინ მიაგებე ფარიო,
დროზედ ნახმარი ფარიცა
იგივე ხმაღი არიო!

სწორედ ასეთი ფარია ბ-ნ ყარბის „წითელი წიგნი“ და განმეორებით ევრჩევეთ ყველას ამის წაკითხვას.

წიგნი გამოცემულია „ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის“ მიერ. დაბეჭდილია საუცხოო ქალაღლზე, მოზღილი ფორმატიისა, შეიცავს 260 გვ. და ლიოს 100 მან. — თუ სომხურად და ქართულად გამოიცემა, სასურველია, რაც შეიძლება, ნაკლებ ფასში გამოიცეს, თუმცა ფასი ძვირი არ არის...

დასასრულ ვისურვებთ ამ წიგნის კაბადონები მრავალთ გადაეფურცლოთ და შეესწავლოთ...

იოსებ არიმათიელი



მ. მ. ილიკო — მირზაშვილის ასული მსახიობქალი (შარტი)

ტრიოლასტი

(ძველ რვეულიდან)

ჩემი ცხოვრება პოემა უძვირფასესი, დაეინჩის ხელით დახატული, მიმოკვანთული; ნერონის თვლით ღამე ბნელში მიმონათესი, ჩემი ცხოვრება პოემა უძვირფასესი!..

ავი განზრახვაც არის წმინდა, სუფთა ქართული, ყველასთვის მარგი და შესარგი ტურფა მხარესი!.. ჩემი ცხოვრება პოემა უძვირფასესი, დაეინჩის ხელით დახატული, მიმოკვანთული!..

კოკი ებრაღიძე



საოპერო მსახიობი კურბატოვი სპოლეტი, — ხელით ნახაზი





სილობისტრო ჯიბლაძე.

შეტების ციხის პოლიტიკურ პატიმართა ერთი ჯგუფი ზევით მარცხნიდან: ი. ქორიძე, ა. რუსაძე, ი. რამიშვილი (I სახ. სათათბ. დებუტატი), დ. ქარცივაძე—მეჩონგურე და მ. ორმოცაძე; დაბლა მარცხნიდან: კ. მასხარაძე, პ. თოთიბიძე და ს. კვაჭაძე.

(გალაშებულია 1908 წ. შეტების ტაშორთან)

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთი უპირველეს-უხუცესი დამარსებელი-მოღვაწეთაგანი. ცხლახან მძიმე ავადმყოფობა გამოიარა, ამ კამედ უკეთაა.



მ ი ა ს ვ ე ნ ე ბ ე ნ . .

მიასვენებენ... და მიაქვთ კუბო, ხალხი აცილებს დაღონებული!
მიასვენებენ .. სადაც მას უკვე სამარე ელის პირ-დაღებული,
მიასვენებენ... მუსიკა უკრავს დამაღონებელ სევდიან ჰანგებს!..
კაცის გაჩენას მოსთქვამს, დასტირის, მწარე ხეაზიადს ჰაერში აბნევს!

აღმაინი არად ქცეული, წუთი სოფლისგან გამეტებული!
გუშინ აღსავსე ჯან-სად სიკოცხლით, დღეს უკვე მკვდარი, გაფითრებული!
გუშინ მოძრავი, ენამეტყველო დას სამარისკენ მიეჩქარება!
იყო, წარვიდა, მეტს აღარ მოვა, იგი შავ უფსკრულს მიფარება!

სიკოცხლის წიგნი მან უკვე განვლო, აქ ვერ იბოვა მან სიხარული,
მისი სიკოცხლე ხომ ტანჯვა იყო და ტანჯვაშივე დალია სული...
და მიაქვთ კუბო... ხალხი აცილებს... უსიტყვით მწარეთ დაღონებული,
იქ მას სამარე მიელოდება, სამარე უნდო პირ-დაღებული.

მიასვენებენ!.. მუსიკა უკრავს დამაღონებელ სევდიან ჰანგებს,
კაცის გაჩენას მოსთქვამს, დასტირის, მწარე ხეაზიადს ჰაერში აბნევს!..

დ. ქანჭაოელი





მგოსანი კოტე მყაუფილი

ავტორი „ეშმაკი საქართველოში“-ს და სხვა ნაწარმოებთა. თავმჯდომარე მწერალთა კავშირის, ხელოვნებათა ცენტრის და სხ. (ამ ახლო ხანში მწერალთა კრების მოწვევის გამო)

მ ი ხ ა კ ი

(დასასრული იხ. „თ. და ც.“ № 9)

IV ჩეკო, სანტინი, იდა, ჯულიო, ნინა

(ნინამ კარი გაუღო. ჩეკო და სანტინი შეშინდნენ. ქუდს არ იხდიან)

ჯულიო თქვენა ხართ?

ჩეკო სალამი და კაი მადე ქალბატონ იდას. სანტინი გვეგონა, ვახშამი გათავებული გქმნებოდათ,

იდა (ფეხზედა დგას, კაბას ისწორებს, თუმცა, დიღებს შეიკრავს) დაიხურეთ ქული (დაიხურავეს) დაბრძანდით (სვაშებს დაუდგამს, სანთელს ანთებს)

ჯულიო (მივა თავის სტუმრებთან, ჩემად) პასკელებზე ხმა არ ამოიღოთ, არც შეშახედ.

იდა (ჭაჭებს წყაღა გამოაგლო) ხომ მიირთმევთ? (დაუსხამს ღვინოს და მიათმევს)

ჩეკო და სანტინი გაცოცხლოთ, გადღეგრძელოთ (დაეკეცნ და ჭიჭები ხელში უჭირავთ)

ჩეკ. საუცხოვოა, სადა ყიდულობთ?

იდა სიცილიურია; ხომ კარგია?

ჩეკ. ნეტქარა. მისის ვარდივითა ყვავიან, ქალბატონო იდა.

იდა ჯულიო კი ჩამცივბია, ფერმკრთალი ხარ ღლესაო.

სანტ. ჯულიოს თავისი საბუთი ექნება. იცის რასაც იტყვის. ყმაწვილი ცოლ-ქმარი... (სიცილით) ნათლობაში ხომ მიგვიწვევთ?

იდა ნეტავი აგრე!

ნინა (გაჩუქებულია. ბრახით წამოხტება, თითქო უნდა სიქვას, უკან გავჯდაო, და შეიარე ოთახში გავაკასს გაიხსუნებს)

ჩეკ. ჯავრობს, ჯავრობს ქალბატონი ნინა.

ჯულიო ქმარი უნდა.

ჩეკ. რაღა დროს...

სანტ. მაგას ნუ იტყვი. დღეს, ჩემო ძმაო. მარტონიერი ქალებილა თხოვდებან. ქალი, უენ ხარ

ჩემი ბატონი, ლელია, ლდევი: რაც ხანი გადის, უფრო მწიფდება.

ჯულიო (დაცინივით) ეგეც მწიფე ლელი. რატომ არ ირთავ?

სანტ მე წიკას არ ვეწევი.

ჯულიო (მაუზა) ხუმრობა იქით იყოს და სიგარა ხომ არა გნებავთ? ტოსკანური. (ამოაღებს ჯაბ-დან და შესთავაზებს. თითოს აიღებს, შუაზე გადასტეხენ, ნახევარს მოჰკადებენ, ნახევარს ჯაბში იყარავენ, მადლობას არ უხდებიან)

ილა ჯულიოს წასაყვანად მობრძანდით? (შაშთა შესტეხვის, გაწმინდავს) ჯულიო დამპირდა, ამაღამ არსად წავალო.

ჯულიო (შეგახედა) სტყუი! მე გითხარ, ამაღამ ადრე მოვალ მეთქი. (მაუზა. იღას ტირაფი მოფრევა, ადგება, აქეთ-იქით მიასწავებს, მერმე ფანჯარასთან მივა)

ჯულიო (შეგარდებს) სდ მიხვალ?

ილა მე? არსად (ხელს დაუჭერს უნდაიქით მიიყვასო, რადგან უთხრას) ჯულიო, გენაცვა, ნუ წახვალ. ამ საღამოს ჩემთან იყავ. ერთი საღამო მე მაჩუქებ რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები შენს მოლოდინში. ქუჩაში გამვლელი ყველა შენა მგონიხარ. გულის ფანტკლით შევცქერი კარებს, ან ეხლა შემოვა, ან ეხლა მეთქი. დარჩი, ჩემო ჯულიო. უშენოდ წამება ჩემი სიცოცხლე, შენც კარგად იცი, და მინც არ მიბრალდებ.

ჯულიო კარგი, კმარა! გვიყურებენ. სხვა არა იყოს რა! პატარა ბიჭი კი არა ვარ, რომ დავეცი თხოვი ვისმე — ნება მიბოძეთ ცოტა გავისეირო მეთქი.

ილა მაგ კილოთი ნუ მელაპარაკებ... მახვილივითა მხვდება გულში ყოველი შენი სიტყვა... შენე, როგორ მიცემს გული. (უნდა გუფაზე მიიდაოს ჟულიოს ხელი. ჟულიო ხელს გამოსტაცებს)

ილა (დასარბაცდებს) ჯულიო, ჯულიო (ჯულიო ბრახშიორეული შესტეხვის, ადა დუცემა ლეგინზე და ტირის)

სანტ. (ვითომ არაფერი გაუგანია, ან დაუნახავსო. ჟულიოს) ქალების ბენიამინი ხარ. სწორედ (დადინებს) კობრა ქალის ლამაზ თვალს კოცნა რგებს და ცრემლი ჰკლავს.

ჩეც. გაჩუმიდი! ტირილის დროს სიმღერა უბედურების მომასწავებელია.

სანტ. უბედურებისა? ვისთვის? მტირალისთვის, თუ მომღერალისთვის?

ჯულიო (ქეჟს ადებს) მიეღვივართ? (ჩეკო და სანტინი გადაან)

ილა (კარებში დაქეჟს) ჯულიო, მომისმინე...

ჯულიო რა გინდა ჩემთან?

ილა მას მიღიხარ?

ჯულიო როგორც ხედავ.

ილა ის მინც მითხარ...

ჯულიო რა უნდა გითხარ?

ილა იქნება გინდა რამე? მვაგათ... მეგობრებს მისდევ. ხუთი მანეთი კიდევ მაქვს (გულის ჰარცანს ამოიღებს და შესადებს)

ჯულიო (ზახლით) დღეს არა!

ილა რატომ, ჯულიო? (ჯულიო გავა, კარს გაირახუნებს. სანტინის ხმა ისმის:)

კობრა ქალის ლამაზ თვალს

კოცნა რგებს და ცრემლი ჰკლავს...

ილა (დაჯდება მაკედასთან და ქეითინებს)

V. ილა, ნინა, მერმე ჯიჯი.

ნინა (შეშოგა) წაშავდენ? რა ვატირებს, ქალი? (შეახევა, მოაუფრსებს). რითი ვერ შეგჩეი? შენი ბრალია, შენვე აფუტებ ი ბიკსა. შენ ფულს აძლევ, ის ქეითობს. ვითომ და რატომ არაო? ნუ ტირი, გენაცვა. მთელი დღე ხელსაქმეს უზიხარ. მოდი, შეგამე რამე. ეგეც თქვენი სიყვარული! სიყვარელი კი არა ძიშწარვა, შხამი! ხომ არ მოკედები იმ გულმკედარისთვის (საქმელს აწვდის).

ილა (თავს ახლებს, ამოიხსრებს).

ნინა რამდენი გამოგართვა?

ილა არაფერი, არ ინდობა. უცნაურად მიყურებდა. სიგარების მოსატანად რომ გაველ, აქ რალაც მოხდა, რალაც მიუვიდა.

ნინა ფთხილად იყავ, ილა, ჯიჯის გამო მოხდა, რაც მოხდა.

ილა. ჯიჯის გამო? (თვალს იჭმუნს) იქნება ექვიანობა?

ნინა (სქვამს) მგონი, რომ აგრეა. თუ ექვიანობს, ცოტა ურადლებაც უნდა მიქციოს თავის ცილს, მაგრამ არა. გაიწულა ყველაფერი. რა არის ჩენი ცხოვრება. შრომა და ცრემლი, შრომა და ტანჯვა. (დგინოს დაისხავს, მერმე სუფრას ადგებს. კარს ანაჟუნებს).

ილა ვინ არის?

ნინა ვისაც თავის დღეში ზარი არ უნახავს. რას არაკუნებს? (კართან მივა) ვინ არის?

ჯიჯი მე გახლავართ, ჯიჯი.

ნინა (შეგახედა) რა გინდა? (კარს ადებს).

ჯიჯი (მოგარსებთ) ერთი სიტყვა... ერთი წამით... გვიან ხომ არ არის?

ნინა იცი, ზარი რა არის?

ჯიჯი გვიან არის და მეშინოდა, ზარით არ შევაწუხო მეთქი. ოდნავ დავარაკუნე... ხელით. ხმა რომ არ გავცეცათ, უკანვე წავიღოდი.

ნინა ძალიან კარგს იხავდი. რა გინდა, რისთვის მოეთრევი? შენ აქ საქმი არა ვაქვს რა ვთავს.

ჯიჯი (ყუჟუ შემოვიდა) ქალბატონ იღას ვახლავარ.

ილა საღამო მშვიდობისა.

ჯიჯი (შაჰრძაღბათ, ჩუმაღ) გიტირინათ, ბატონო.

ილა არა.

ჯიჯი როგორ არა. სიყვარულს არა დაემადღება რა და მით უფრო ცრემლი.

ილა (მადღა) კმარა ეგ სისულელე რა გინდათ. რისთვის მოხვედით?

ჯიჯი ცუდი კი არა იფიქროთრა. წელან რომ გამობრძანდით..

ნინა შენ რა იცი?

ჯიჯი დაეინახე .. შორიდან (იდას) სალამიც კი არ მალირსეთ. რა გაწყენინეთ? განა მე თქვენი მეგობარი არა ვარ?

ილა კმარა, **ჯიჯი**, კმარა! ბევში ხომ არა ხართ? მითქვამს და გეტუბნებით—ნუ მოდინართ, როდესაც ჯულიო შინ არ არის (წამოადგება) მითხარით, რა გინდათ ჩემგან? გინდათ, მტრალი მნახოთ?

ჯიჯი თქვენი ნახვა, სხვა არაფერი. მერწმუნეთ, ჩემთვის ესეცა კმარა. პატოსანი ბიკი ვარ, მგონი და... რაქანა, კულს მიწყლავს თქვენი ცრემლი. ციურ ანგელოზებით ლომბიერი და კეთილი ხართ და ავტო მიტოვებული..

ნინა (შეკახეღა მაგინადს მუშტს სცემს) პატოსანი ბიკი ვარო?! ჰოდა გაიგონე, თუ მართლა პატოსანი ბიკი ხარ, წადი და აღარ მოხვიდე. გეყურება?! ეს ცარიელი სიტყვა კი არ გეგონოს; თუ არ გინდა უბედურება, შენთვისაც და ჩვენთვისაც წადი და ნულარ მოხვალ! ამის აღავას რომ მე ყვოფილიყვი? მე ვიცილი, როგორ გადაეფხიდი სამაიეროს.. იქნება მაშინ შეჭყვარებოდა და მარტო მწველელ ფურად არა ჰყოლოდა თავისი ცოლი.

ილა ნინა!

ნინა მწველელ ფურად ჰყევხარ, განა მართალი არ არის? მე ვუჩვენებდი სერს! მაგრამ ეგ (იდაზუღ) —ეგ ამას ვერ იხამს.

ჯიჯი არც მინდა.

ნინა წმინდა ხარ, მარტო სულიერიითა ცოცხლობ! მაშ რისთვის შოეთრევი?

ჯიჯი სანახვად, ერთ წამს.

ნინა მოითმინე, გავათავო. ჩემმა ძმამ უკვე შენიშნა, რომ სულ აქა ტრიალებ. თუ ემავასთან მოგასწორა... გულწრფელად გეტყვი: მოპლოვ? ჩემისთანა ბედნიერი არავინ იქნება... ორივე ხელს დაგიკოცნი. მოგკლავს! ჩანაბას შენი თავი, დავმშვიდდებით მაინც მე და ილა.

ჯიჯი (იღინას, თათებით რქებს გააკეკებს) ამისი ეშინია? მაშ დღეგრძელი იქნება.

ნინა განსაცდელში შენი დღეგრძელობაა. თქვენ თავშიაც ქვა გიხლიათ, ოღონდ. ამ საწყალ ქალს ნუ ჩარევთ შიგა. (ჯიჯი იცინის) ილა, უთხარი რამე, შენსას უფრო დაიჯერებს.

ილა ნინა მართალს ამბობს, **ჯიჯი**. აქ საცინელი არაფერია! რა დროს ხუმრობაა?

ჯიჯი მე არცეხუმრობ, თუ მართალი გნებავთ, მე იმიტომ გაიხელით, რომ გულახდილად მოგელაპარაკოთ. ქალბატონო ნინა, არ შეიძლება ერთ წამს დავეტოვოთ; სათქმელი მაქვს რამე და ეხლავე წავალ.

ნინა როგორც გინდა. მე გაგაფთხილევ და ახლა შენ იცი (გაჯა).

ილა არა, არა! მე თქვეთან მარტო დარჩენა არ მინდა. (წამოაჯადება).

ჯიჯი გეშინიათ?

ილა მეშინია ჰორებისა...

ჯიჯი ორი სიტყვა მხოლოდ, ორ სიტყვასა გკითხავთ.

ილა ჩქარა!

ჯიჯი ისე მელაპარაკებით, თითქო მტერი ვიყო თქვენი.

ილა არა, მაგრამ... რა გინდათ ჩემგან? რას ჩამცივებხართ?

ჯიჯი მინდა მოგახსენოთ, რომ მე მზადა ვარ. გნებავთ დაერჩები, გნებავთ წავიდეთ. არ დაიღალეთ ამოდენა უბედურობით?

ილა მე უბედური არა ვარ.

ჯიჯი ილდი ბედნიერებაა სწორედ, თქვენი შრომით თქვენი ქმარი ქეთფობდეს?

ილა ტყუილია!

ჯიჯი და თქვენი ფულის მეტი თქვენი არა უნდოდეს რა.

ილა ტყუილია, ტყუილი!

ჯიჯი გნებავთ, დავიმტკიცოთ.

ილა რა დამიმტკიცოთ? არ მინდა! არავითარი დამტკიცება არ მინდა! ნურაფერს მეტყვიო! რადა მტანჯავთ. რად მეუბნებით?

ჯიჯი მათქმევინეთ ..

ილა არ მინდა, არა! ცილსა სწამებთ ჯულიოს! ჯულიოს ჩემს მეტი არავინა ჰყავს. ტყუით, ტყუით! მე, მარტო მე ვუყვარვარ და ბედნიერიცა ვარ! ფულს გართმევსო. ფულიც იმისია და მეც იმისი ვარ! მე ჯულიო არ მიღალატებს. საწყალ ბიქს საქმე ვერ უშოვია და ცილსა სწამებენ, ცოლი აცხოვრებსო. ტყუილია, უსინდისო ცილისწამება! სამარცხენო ცილისწამება! (აჯადება და ქვათინეს) არ მინდა, არ დამიმტკიცოთ, არაფერი მიამბოთ!

ნინა (შეშოვა) **ჯიჯი**, წადი! მგონი, მოდის.

ჯიჯი (ჩქეითათ იეურება იმედ მახიდა) ერთი მიხაკი მაინც მიბოძეთ საღსოვრად.

ნინა (აქედეს) ავა და ვასწი (აღად გაჭყავს).

VI **ნინა**, **ილა** ჯულიო და **სანტინი**.

ილა რა უბედური ვარ, ღმერთო!

ნინა შენი ბრალია.

ილა ნეტავი, შენ რაღას იხვდები?

ნინა სიმშობლით მოვკლავდი. რომ გაუკვირდებოდა, საქმესაც იშოვიდა და შრომასაც შესძლებდა. ათ-თორმეტ საათს რომ საქმეში იქნებოდა და წურ-წურით ოფლი ჩამოუდიოდა, ფულს ავგე ადვილად აღარ ვაპოვებავოდა. (ჭურჭლას რეცხავს. იცა ჭქარ-გავს. ქუჩაში სასაჩუქრე უვარობი, ქაღობის კეილი. კი ბეჭედ ფეხას ხმა. ილა ფანჯარას ეგება, ნანა კარს. ვუღლით შეშავარდება გაფიასრქულა, თან სასტინი.)

ნინა რა არის ჯულიო? რა მოხდა? (კარს ჭქე-ტავს).

ილა ჯულიო!

ჯულიო (გადავადებს გასისხლანესებულ ბებუთს, რომელიც მარჯვენა ხელში ეჭირა. ცდილობს დამშვიდებოს, მაგრამ ამაღლ. საშინელი დამილით შესტყვრის იდას და უახლოვდება) ილა, აი, ჯიჯიმი დაგიბრუნა შენი მიხაკი. იმას ცხლა სხვა ყვავილი უტრევი აი აქ... შიგ გულში.

ილა ჯულიო, ჯულიო! ნუთუ გეგონა, რომ... დედა დღისთავი, წმინდაო მარიაში! შენ ხომ უწყი, რომ უმანკო ვარ... შენ მაინც ჩაგონე...

სანტინი (ჯულიო დუმუდისკენ მიჭყავს) რა დროს ქალებია?! შენ შენი თავისა იზრუნე!

ჯულიო ქალები! ფუ, შავთ სახსენებელს! (აფურთხებს) მართალი ხარ. უნდა ეიზრუნო რამე. კარს აჩაქჩქებენ: ვაადეთ! კანონის ძალითა გთხოვთ, გაალოთ!).

სანტინი ბებუთი რა იქნა? (აღებს რეცხავს) ნაცარი სადა გაქვთ? (დუმუდის ქვეშ ეძებს და იჭიმე მაჯავს).

ნინა (კართან) ვინ არის? რა გინდათ?

ჯულიო ე გული ხომ მოვიფხანე! (ჭქუდიან შტეერს ისერტყავს. ნინა კარს ადებს: შეშოდის კამის-არი, უკან ხალხი მისდევს, მაგრამ სანტინი წინ გავლავს).

სანტინი (ხალხს) რაო, რას მოიწევთ? თამაში გინდათ ნახოთ? (შაწვებს და გარეკავს. კარს ჭქეტავს).

კომისსარი რომელია აქ ჯულიო მორეტტი?

მეორე კომ აი, ეს გახლავთ. მე კარგად ვიცნობ.

ჯულიო დიად, მე გახლავართ. თქვენა გგონიათ, დაგემოლებით? (ხელებს უგარვენ. წინააღმდეგობას არ უწყებს).

ნინა რა ქენი, ბიჭო? რა ქენი?

ჯულიო (იდას, რომელიც ფერმისხილი ატყუხვავა კუთხეში) ამ ფანჯრიდან ვასტყვროდი, განა? შიელი დღე იმას შესტყვნავიდი? ხვალ ვეღარ დინახავ, ჩემო მშვენიერო... ვეღარც ხვალ, ვეღარც ზღე.

ილა რას მერჩი, ჯულიო? რა დიფაზივე? თუ ჩემი არა გჯერა, შენს დას მაინცა ჰკითხე.

კომის აბა, წავიდეთ.

ნინა შესვლი, ჯულიო...

ჯულიო ჩემად, შე უნამუსო! (კომისსარს, რას მეწევით? ხომ ხედავთ, რომ მოგდეთ. (სანტინის) ჩემი და შენთვის ჩამიბარებია; რაც შეეგება ჩემს... ცოლს... მანუგეშებელს მალე იპოვის).

ილა (კარებში ჩაუდგება) არა, მაგ სიტყვით ნუ წახვალ, ჩემო ჯულიო. მომისმინე და ისე დამსაჯე. ლეთისშობელს გეფიცები, სტლები! მე შენს მეტი არავინ მყვარებია, არავინ შენს მეტი... ვიცავე...

სანტინი (ხელს მოაფეხებს და იქათ წაუყენებს).

ჯულიო შწარა სიდილია) ლიბაში ქალი ხარ, მუშტარი არ გამოგლეუვა. (გაღის ქალებს უნდათ გაჭეხენ, სანტინი დაიჭკის და კარს ჭქეტავს).

VII, ილა ნინა, სანტინი, შემდეგ კომისსარი.

სანტინი სად მიხვალთ?

ილა (დაიჩქარებს) ღმერთო ძლიერო...

სანტინი (მისაჩუქედ ხელს დაადებს). ყური მიგდეთ...

ნინა რა დროს ლაპარაკია? ჯულიოს სარეცხი დასტირდება, ფული, ტანისამოსი.

სანტინი რა თავში იხლის ფულსა და სარეცხს? კაცი ილუპება! თავი დაანებეთ ღმერთსა და ხატებს, მოლით ვეცადოთ ვუშველოთ რამე. თქვენ, ქალბატონო ილა, გააბით კაცი მახეში და თქვენვე უნდა დაისხნათ.

ნინა როგორ მოხდა? რა იყო? აქედან გამოშვალ დინახა?

სანტინი აქ შემოსავალი დინახა და გარეთ ელოდა.

ნინა შენც იქ იყავი?

სანტინი მაშ სად ვიქნებოდი? ძმა ძმისთვისაო, ამ ღლისთვისაო. ზაფრანის ფერი ელა. რატომ არ გამოდისო? რატომ არ გამოდისო, სულ იმას გაიძახოდა.

ილა ჩემო ჯულიო!

სანტინი ეგ წინად უნდა გეთქვათ. ჯიჯი რომ გამოვიდა, დავგინახა, გაჩერდა და—ჯულიო, რა გინდაო, წაილულულა... ჯულიომ ისკუბა და...

ილა შემიბრალეთ, შემიბრალეთ!

სანტინი თქვენ კი შეიბრალეთ? არ იცით, ქალბატონო, ცოდნა გადახდა უნდაო. საწყალი ბიჭი დაჭრუპეთ და...

ნინა რა გინდა მაგ ქალისგან, რას ჩააცვიდი? ხომ იცი, როგორ გაგიყვებით უყვარს თავისი ქმარი. იმას ხომ ვერ იტყვი, ქმარი უყვარდა და სხვაც მოსწონდაო.

სანტინი მით უარესი, თუ ეგ მართალია. თუ იდას იმ უბედურთან, აქ რომ გლია, არაფერი ჰქონია, მით უარესი.

ნინა შევიშლა ე კაცი! რასა ბოდავ?

სანტინი მაშ ნათლად მოგახსენოთ? ჰოდა, უყვარდა იდას ჯიჯი, ჰყვარობდა, თუ არა, ეგ მე ჩაღლის ფასად არ მიღირს. იდას ბრალია, თუ ჯიჯისა, ეგეც სულ ერთია, რაც მოხდა, მოხდა. მკვდარმა ტკბილად განისვენოს, ცოცხალმა თავს უზატრონოს ცოცხალად უნდა პატრონობა. თუ სასამართლოშიც იგივე სთქვით, რაც წყლან კომისართან, ჯუღილის ოცი წლით ციხეს მიუსაჯავენ.

იდა ოცი წლით ციხე! ღმერთმა ნუ მომასწავროს!

სანტინი დიად, ოცი წლით ციხე! ეგენი მე მკითხებთ. ეხლა ჯუღილის ბედი თქვენ ხელთ არის. თქვენს მეტი იმას ვერაფერ იხსნის. მიუწოდოთ მისი მწვერვალის მიხედვით უმანკოც რომ იყვით... აბა დაფიქრდით... რად მოჰკლავ? ჩემი მიზეზით? ვისი ეჭვით მოჰკლავ? გეყურებთ? აქ ყოყმანი შეუძლებელია, ან ჰო, ან არა. თუ დამნაშავეთ იცნეს, თქვენი წყალობით იქნება დასჯილი, თქვენი მსხვერპლი.

ინა რას როტავ, კაცო?

სანტინი მოითმინეთ! ვროტავ კი არა, მინდა შევაგებინო ქალბატონ იდას, რომ ჯუღილის ხსნა მიაგნებდეს არის დამოკიდებული. იქნება საშინელებაც იყოს, მაგრამ სხვა გზა არა ვაქვით: კომისსარი რომ გკითხავთ, ან მსაჯული, თქვენ უნდა აღიაროთ, რომ ჯიჯი თქვენი საყვარელი იყო.

იდა მე უნდა აღიარო?

სანტინი უნდა აღიაროთ, სთქვით, გამოტყდეთ! ტყუილი უნდა სთქვით, თუ ეგ მართალი არ არის. საქმე ცხადზედ უცხადესია: თუ გამოირკვა, რომ ჯუღილი უსაქმურად იყო და თქვენი შრომითა ცხოვრობდა, რომ თქვენ უმანკო ხართ და ის კი... კაცის მკვლედი, ციხეში დალაპობენ. მაგრამ თუ იტყვით, რომ ჯიჯი თქვენი საყვარელი იყო, სულ რამდენიმე თვით დაიჭერენ, და იქნება სულა ეგამართლონ, — კაცია და თავის პატიოსნობას იცავს.

იდა მე უნდა ვთქვა, რომ...

სანტინი რომ ჯიჯი თქვენთან დაიარებოდა, ხშირად მოდიოდა.

იდა ღმერთმა დამიფაროს! ქმარი დამიღუპეთ და ახლა გნებავთ მეც დამიღუპოთ? გინდათ, თავი მომიჭრათ, ქვეყანაში შემარტყინოთ? თქვენ მეგობარი არა ყუფილხართ, არც იმისი, არც ჩემი.

სანტინი მაშ ვერ ვაიგებთ? ან ოცი წელიწადი ციხე, ან გამართლება. ეგ თქვენზედ არის დამოკიდებული (ზარი) აგერა კომისსარი, კაცის მოკვლა შეამოწმა და ახლა აქეთ მოეშურება ფრთხილად იყავით, არა წამოგცდეთ რა. თუ გკითხათ, დიად თქო, უპასუხეთ.

იდა მაგას ვერ ვიხამ! ვერა, ვერა! მიშველეთ რამე. ინა, ტყუილად ვთქვა, ჩემი...

ინა (თავს იქნებს და კარსიკუნ შიდას)

იდა ნინა!

ინა რაღა დროსია? ახლა შენ იცი. (კარს უღებს კომისსარს და არ მის მხედვს).

კომისს. თქვენი სახელი?

სანტინი (ქუდს მოახდის, სკამს მართმუქს, ფეხქვეშ ეგება) დაბრძანდით, ბატონო კომისსარო. თქვენც ბატონებო, თუ გნებავთ.

ინა (შავიდას სწმინდავს)

კომისს. (სანტინის) საცა შენა ხარ, აქ სიკეთე იქნება რამე?

სანტინი თქვენი მონა-მორჩილი. ჯობი შიბოძეთ, ბატონო, მე დაგიპერთ, მანამა სწერთ.

კომისს. (დაგას, უბის წიგნსა სწავს). შენ გიცნობ. (ინასს) თქვენ?

ინა ჯოვანინა მორეტტი.

კომისს. რომელია მეთულე?

იდა მე ვახლავართ.

კომისს. თქვენი სახელი?

იდა იდა მორეტტი.

კომისს. ვისი ქალი ხართ?

ინა სალვატორ და ჯულიტა ბიანკინისა.

კომისს. მაშ თქვენ მოკლულისა საყვარელი ხართ?

იდა (ხედავს აიქნებს, თითქო უნდა მოაგვრთს რაჟო. სანტინი ისე დაგას, რომ კომისსარმა ვერ დაინახოს დე იდას ეშუქება)

კომისს. მიპასუხეთ, თქვენ საყვარელი ხართ იმ კაცისა, რომელსაც თქვენმა ქმარმა აქ მოასწრო და მოჰკლავ?

იდა (თავს აიქნებს) დიად... დიად... მე საყვარელი ვარ (წაბარბაცდება, ინა გულმა ჩაყარავს).

(ფარდა)

ივ. მაქავარიანი.

სინიფი პოეზიათი

არ არის კარგი, როდესაც ღამიანს, ან თუკინდ სხვა რამეც იყოს, მხოლოდ ცალ-მხრივად შეეხები და მისი სურტი მხარეების შეფასებას მიხზათ დაისახეთ. მაგრამ ამ უხერხულადიან დავით გურა 'იშვილს გამოგუგავათ: „აჟს თუ აჟა არ უწოდო, კარგს სხედად რა დავარქვათ“.

დიდათ გავხარულია და თავმოაწინდ, რომ ასეთს არაჩვეულებრივ დროს აშენი სხვა და სხვა ნაირი ყურნად-გაჭეთები გამოადის.

გამოხსნადი ზოტ-შეწრადია ვაგუფები თავისებური სხვა და სხვა მიმდინარეობით და რქმენით; უგულა მათგანს საკუთარი ყურნადი გამოაფინს და თავის პირთაგანის საიდათუტრადიად ლექსები და მთარგმნეა მოათავსს. ხელთაგანს ასილთუტრად თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ ის რდა ხელთაგანს, თუ ის თავის საკუთარ ზა-

მის დაკარგვას და ხრამში გადაწევილი სხეილი სხამდლოთ ამოსართვი გზების; ხელთფანი უკედ უნდა სტანბლეს თავის თავს, ვინემ გარემე მუერებელი; მან თავის თავის დაფასება შეემდგანდა უნდა იცოდეს.

ხელთფანს ნება აქვს რახედაც უნდა სწორის, რაც უნდა ის სთქვას; ხელთფანისთვის თნებუა და სანამდელი, ავი და კარგი, ცა და დედამ.წა—ერთი და იგოვე ხელწამოსვარავი მასლდა. მკრამი ხიციც ცხადის, რომ ხელთფანი მარტო თავის ფინის მოსალავად არა სწერს, რომ შემდეგ დაუფიქრებლად საზოგადოებისკენ გადმობრძოლას; მისი ნაწარმოება უსათყოფ საზოგადოა და მისი სწორ-სახომიერ აქვეა გათქვილ-გამიანკარი-შეებელი; მაშასადამე ხელთფანის მასხურ საზოგადოება-საც კარგად უნდა იცნობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელთფანს თავისი ზიროსი დაბადების ძირველ დღესვე შემთავრება ხელში უზარებულად ან და უკვლელ დეკარტებს ქვეყნის ორომტრია-ში.

აი ამ მხრივ მცარედ განკვიხლოთ ყურნალი „შეად-დოსანი“ № 2—3. პირველსვე გვერდზე პირველი ლექსი გრ. რაბაქიძისა—სიორაჟი ღიანდა. (თარგმანის არ ვუჩებო). ეს ლექსია, რომ ტონის აძლევს და სხვა დასაწერილ ლექსებზე ბოლომდე აბის განმარტადია. ამიტომ სწორია არ აბის შათი სართიად გარეგან-დღვასება. მე შეგონის ამ ზოტებს; რომლებმაც ასე თამამად გადალა-სე ზოტების ნაშრობი, უკვლას ერთი თავი აბით, ერთხანდაც აზროვნებენ, ერთხანდაც სწორენ და მართ-ლაც, მითატრებენ სიდაც მქენაურ სურათს, წაუსომენ მურს და აი ეს ახალია—ის ძველი იყო და მაშასადამე უფარგისიც. შემდეგ ამ სურათს ერთი მუორეს ჩამოართ-მევენ და უკვლას თვისად წარმოუდგენს საზოგადოებას—ასეთი უნდა ახალი ხელთფანება, მერ რა ეკისოსო. შემდეგ კიდევ ამავე სურათს გაბიშვლებენ, ჯანსაყით ატრაღე-ბენ ჩვენ თვალის წინ და რთაც ხედა დედალ;ათ, ისეთ დროს შესაჩებენ და ისეთი მხრიდან მოვკვანებებენ, რომ იძულებული ვართ ჩვენ თავითი შეტრიალდეო, ან და თვალუბე ხელი მივიფართ.

ახლა მოესმინოთ თავთ ამორაჟი „ქვარ ღიანდას“:
 „მე მსურს შემირთოს ადექსანდრემ; თუ გიქ ერთი დლით; მიხმოს თავად მან:

გუქსით ქალკობ: უნდა გუხედე მისიან ორსულია“. სიუჟეტის ფინით შეხურბობიდა ქვარ ღიანდა იმეჩად ტლანქი გემოვნების არ იქნება, რომ მან ორსულობაზე იფიქრას, რადესაც ის ელტვის ისეთი განცხვენ, რთ-გორავ ადექსანდრე იყო; მისი აზროვნობის ამაზე ფი-ქრის ნებას არ მისცემს ღიანდა: „ხოლო ამ სიტყვის ხმარება დასტარდა რაბაქიძის, მე მგონია, იმიტომ, რომ მისი ლექსი მუორედ აღწავის წავითხის.

ამ ყურნალში მოთავსებულ სხვა აუტორთა გვარებს და ლექსებს სიათასად არ შევახსენებ. რთორც ეტუ-ბა რაბაქიძის თავის ლექსი დაწერისთანავე გადატყდა

მითავის წასავითხიდა, და მუორე გვერდზე კიდო შექობით გამოსდისან:

„შესატრება დაგინახით თქვენ სარეცელზე.

„ახალი ლოკინზე ურცხვი ხელით გატიტლებებელი“თ აქ აუტორი თავის თავის მუტს ვერავის ხელავს და დარწმუნებულია, რომ მის სიტყვებს რთაქიძის მუტო ვერავინ გაავტენებს, თორემ ასეთი ცინიზმამდე არ მივიღოდა.

სამგეორად მუთორმეტე გვერდის აუტორი უფრო თამამის და თავგანწირულიც:

„მხურვალე კონიით ამოვშობო თელანს დღავს,
 „და ჩემს სიტყვებს ცოდედის, ნამრეშეს
 გაუსთბო სთფლავს მე თავითონ თავთ“—

აქ ბატონებო, აზრიც „დიდებელია“, გემოვნება „საუცხოვო“, გმობობა „სამაგალითო“ და ენის დარსე-ბიც „მშეუხეურდას“ ადრული.

მეცნეო გვერდის აუტორი კი ცოტა უფრო ზრდი-ლობისან და თუმცა „ქალბატონის“ პირველ და მიზარ-თავს „უთილა დამით უკვლას სქმე გამთუნბდას“ თ, მკრამ, რთორც „იუნებით ზოტის“ და „მთაზროვნეს“ აღბ და მუქამ ხელი წაჭრა და ერთბაშად სიტყვას ცვლის:

„ჩემსა სიმშობლს, ახლა მივხედა, ჩვეუ სტირდე-ბა“.

და
 „ეს კარგი აზრი მე შეწვა ცოტათი გვიანო“, — ნახობს აუტორი და საბუთიან აქვს ამისი. ბოლოს კი გვაძლევს:

„უკვლას გავწვდეთ დღეს ქალაქში ხორცი და-კელი“:

„უკვლას ვიშოვით სინავაგუს სელ ახალს დილით“—
 აი, ეს „ზეოვა“ განსაკუთრებით გახარდას რთ-გორც ბატონებს ისე მათს მზარელუსაც, რადან პირ-ველინი რთიანდა გამთავსებენ ფერდს და მუორენი თა-ვის სიმზარეული ხელთფანის აღწერის დაკლებენ.

და იქნებ ამიტომ ამბობს მუთორმეტე გვერდის აუტორი—

„ჩემში ზოტია უხვად დარე,
 „მე სისწინასულიც, ფარახივით სარკოთავაში ხავალ დაკელი“.

ამას. საუბედურად საფუძლანა კრიტიკისთვის ჩვენში ვერ ვერავის მივცდას. არა მგონია, საშობის შნო არავის ვქმედეს და იმიტომ ვაყოთ ასე უგომანსო გემოით ზღვაში გასროლილი.

ეს უნდა მოეწიროს იმას, რომ ახალი ზოტ-მწერ-ლები ორიგინალობის კამო თვალს არადებენ ვარდის ბუჩქებს, იის უკვალბებს, ანკარ ტბაზე მოცურავე კედს და სხვა მთავარებს, რახედაც რადისმე რამე უთქვამთ მკელ ზოტებს და სამავთიერად დიდის ხ დილის და ად-ტრებით ავთიქურენ თუ მზახნდით ლაგოში ამსწორელ დროის სურათს, კატის ჩხავალს და სხვა... მთალოდ იმიტომ, რომ ეს ახალი იქნება და ამაზე ძველად არ-იყერი თქმულა.

დასასრულ. ზროზა ამ ყურნალში შედარებით მე-ტრის-მეტე სლდას და თვალტრეილი. მართალია შიგ ზე-აღმტყვი არაიყრის და არც რამ ახლია, მაგრამ ლექსე-ბას შემდეგ მისი წავითხვით ვიხებთ ასევერის და ყურ-ნასს ტელ-ღიანდა დახურავთ.

ა. კელიძე



ქართული კლუბის სასცენო დარბაზი მარტის 6 არა ჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა: „კედლებზე სრულყოფილი ახალი სურათები გაეკრათ, ახალგაზნად მხატვართაგან სახელმწიფო დიპლომით დახატული: I რადიოტელეგრაფის ოფიცერის შვიციკის: 1, ფერადი ფანქრით ნახატი „მიწის ძვრით გორის ციხის დანგრევა“, — ბურჯი დანგრეულია. თავზარდაცემული ხალხი გამორბის, მაგრამ ყველაზე უფრო საზარელია საქონელი (ხარია თუ ძროხა). რომლის თვალზემ ბუნების რისხვის მავალი საზარლობა გამოკვეთილი; 2) „ჩვენი ახალგაზნადობის გამგზავრება საზღვარგარეშად“, ტიკორებით, ქაფებით და გოჭებითაც კი. მშვენიერი შარკია: ატყობ, მიდის ახალგაზნად მაგამ არა შეწინააღმდეგებელი გატაცებულთ, არამედ ნუნუს აღერსით მიზიბლული; 3, ახრანია „დამოუკიდებელი საქართველო“ — მკერდ-შიშველი, სავსე ძუძუება ამაყად მდგარი ქალი, ეროვნული დროშით და გვირგვინისებრ თავსაბურთით; II ელენე ახელედიანის 1) „გაუშარჯის განათავისუფლება საქართველოს!“, — ახალგაზნად ქართველი გველეშაპისთვის ხმლით თავი მოუკვეთინა, ცალხელში გველეშაპის თავი უჭირავს, მეორეში სისხლიანი ხმალი და ამაყად წეწში აღმართული შორს გაიქცირება, კვლავ გამარჯვების მოლოდინით აღფრთოვანებული და უკეთესი მომავლის მოიმედე; 2) „რუსეთელის პრინცი. ლადისის წინ“ — აქ ცოცხალი წარმოდგენილია უქმა ახალგაზნადობა, მთლიან დღე-ღამე რომ ერთ ადგილს სტეკინის, ანუ უახროდ მიმოყალიბებს; 3) „სმენა“ — ჯარისკაცთა წრფინა; III ჯგერსონის საავტობილო გუნდ-ს ოფიცერის ევ. გ. ბეგთაბეგაშვილის კარაგატურა „ჩვენების გამგზავრება საზღვარგარეთი“ — ავტობილი დამსხრეველია, მგზავრი ქვეშ მოპყლია, გერმანელი პოლიციელი ოქმს ადგენს... აქვეა სურათები სტრეივის (პეროლანის ჩამოვარდნა) და სხ. იატაკი მოყვნილია შერჩეული ხალიჩა-ნოჭებით. მაგიდებზე აბაჯურებიანი ლამპარები, სინათლე მიწაბრებულია, თითქო აღმოსავლეთის მზრძანებლის სასახლეში ხართო.. ლამის მეთორმეტე სა ახლე უკვე გაიცის დარბაზი... აქ შეიკრება თბილისის უმაღლესი საზოგადოება — არისტოკრატის ნაშთებიდან მოყოლებული ბურჟუაზიის აყვავილებამდე. აქვე არიან უკუ-სახელმწიფოთა წარმომადგენელი და ქართველი მოწინავე პირნი, — განსაკუთრებათ მშვენიერდნ ივერიის ტერფა ასულინი: ავიკა თითქო მუხანი ჩამოფარნილიან ცოდვილ მიწაზეო, — შიგა და შიგ გულ მკერდ შიშველი... საერთო ყურადღებას იქცევს საღამოს დასახლისი ვერა ად. ბერძინის და სხ. მე-12 ს. სღამოს კონფერანსი მსიაი დილუხანივი მხელი სიტყვა-ობით აუწყებს საზოგადოებას საღამოს მიზანს — გორში დახარალებულია და საზღვარ გარედ გაგზავნილ ახალგაზნადობას სასარგებლოდ ემართებაო, შეექცეით და იმპარულერიო... ამავე დროს აცხადებს: გრ. ბერძინე მემოსწერი ათასი გირანქა სტრუონიგო (ჩვენი ფულთ და ხ მლონი და ორასი ათასი მან.) ტაში აკუნსა მუ-სიკა, ფარდის ახდისას ცოცხალი სურათი უჩვენებს — დამო-

უკიდებელი საქართველო... ორკესტრის დიდის აღზნებით ლობთარება ბეგთაბეგაშვილი. თავ. ბეგთაბეგაშვილის ბალეტის „გრძნული სიმფონია“ საუკრავო რამ გამოდგა: მუსიკით, მხარბით, ასტრულებით და მრავალ ფერობით: აქ გამოყვანილია, სხვათა შორის, ყველა ერის წარმომადგენელი თავისი დამახასიათებელი ცეკვით: აღმსრულებელი ერთი მეორეს ეცილებიან უკეთ შესრულებით, — საერთო აღტაცებას იწვევენ ბავშვები გვაბიამის ასული, ლილი ბეგთაბეგაშვილი, აგრედე მერი შერვაშიძე — ერისთვისა, განსაკუთრებით შთაბედილება დასტოვებს ანგელოზებმა და კახუნიწილმა — პატარა ბავშვებმა თავისი შეგნებით და მიზნინილი ცეკვით. ბალეტის შემდეგ მიიღეს დარბაზში შემოაქროლეს ბუშტები, — რამაც არა ჩვეულებრივი სიცოცხლე შემოიტანა. თითოეული ოციადობა 500 — 1000 მან და მეტადაც. ამ დროს მოისმა რახინანი ხმა მელოსან პოლი ანგელოზის: სომეხთა მელოსანმა ჰოვანეს თუმანიანი თავისი ერთი წიგნის ჰონარაი 10000 მან; გორლებს სისარგებლოდ გამოგზავნაო... ასტყდა ტაში. აახლა კი აუქციონს ვიწყებ. განაგრძობს პოლო, — და, იმედია, ყველას ვაბე ვაიხსნებაო... და დაიწყო ფერულ ქართულ მასწავლებელ ექსპრომტებით... ავერ „ორიონის“ გამომცემმა სერ. ამ. მელიქოვმა შემოსწარა 50000 მან. პოლოს მასწავლებელ ყველა პირისთვის ზედგამოტრია კაფია ლექსებს აღზნებაში მოჰყავს დასწავრნი და მოდის 10000, 15000 მან. მალე 30000 მ. შეკრება. კვლავ ფარდა აიხდა: ქ-ნ კომიკის საგანგებო ნომერი ცხენების ჯირითი (ოთხი ღაღამ აზიდებული კაცით), იასე ანდრონიკაშვილის მრავალფერი შანსონეტი, მელ. ჩოლოყაშვილის, თ. ერისთავის და სხ. სტილიურ-პაროდიანი ცეკვა საზოგადოება უმჯნე მოჰყავს. აღსანიშნავია სომეხთა მსახიობქალის არუფ ვოსკანინის ეროვნული ცეკვოტაშ-ჩოროსი, ქართული კი არსად სჩანდა... ამ ბრწყინვალე და უცხო საზოგადოების წინაშე უკვებ გამოხატუნეს ავღობრიული მოცეკვავე, ქალები, — შარკია: უამსად გადაცემული ბ-ნ ვაგარცი და ორც კიდევ ვილატ გრძელ ცხვირა მამაკაცი... ჩახ ჯაკობი... ნეტა რა ადგილი ჰქონდა ამას? — ან ვის დასცინობენ? — საერთოდ შინაარსიანი საღამო იყო და შემისვალოც დიდი... **კენტი**

სარკიტოს საზ-მის თეატრი მარტის 10 ქართველ მსახიობებმა წარმოადგინეს ა. სუმბათიშვილის „დალატი“ ზენიანს ასრულებდა ნ. დავითაშვილი. რამდენად ნინო ჩხეიძის ზენიანს მხატვრული და მელოდურია, იმდენად ნ. დავითაშვილის ზენიანა ბუნებრივი და ქართულია, დავითაშვილის ზენიანა აგრძობინებს მაკურბებელ ქართველ ტყვე — დედოფლის სულიერ განცდას.

ელ. ანდრონიკაშვილის „ამაღვაში“ ვიანე საუკეთესო როლიად ჯნდა ჩაითვალის. ვასაძეს დათან არა უშვებდა ე. დანარჩენი როლები ძველ აღმსრულებელთა შორის იყო განაწილებული. ყველა ჩინებულად ასრულებდა როლს. საეროელ 10 მარტის „დალატი“ არა უღალატინა ქართულ სცენისთვის და გვიკვირს ქართველ საზოგადოების დილატი ამ კლასიკურ პუნისიანდ. ვასაკვირველია მართლაც ქართველ საზოგადოების არა ქართველობა, რომელიც რუსულ ოპერაზე სცენის ქართველ ბელოვენებს და ვინც არ დაესწრო მარტის 10 საღამოზე იგი წაგებული დარჩა. **ქიანა**

სახალხო სახლმა აღზარდა არა მხოლოდ საკუთარი მასურბეტლ-მსწველი საზოგადოება, არამედ საკუთარი მსახიობიც: ნ. გოციოძე, სოფო რომანიშვილი — დგებუ-
 აძისა, სოსო რომანიშვილი, გ. ანაშვილი, კ. ხახანაშვილი,
 ი. მინდაშვილი, ზარათაშვილის ასული და სხ. მართა-
 ლია ჩენი ძეგლი, ევრედწოდებულ ქართული თეატრი,
 ასევე თავის გზას და თითქმის ყველა გაეცია, სამაგიეროდ
 ხალხმა შექმნა საკუთარი ძალებით. ამ წრის მორიგი წარ-
 მოდგენა მარტის 6 „მსხვერპლი“ და „ქუქისა მკირს“ კი-
 დე ერთი გამარჯვება იყო ხელოვნებისა. ვინც ამ წარ-
 მოდგენას დაესწრო, აშკარად იგრძნობდა რავედენი გრძნე-
 ული ძალა აქვს ნიქაერ დრამატურგსა და ხელოვან-მსა-
 ხიობს... იყო წუთები, როდესაც მთელი დარბაზი გაქან-
 კული, სულ-განაბლი უსმენდა სცენაზე მოქმედებას და
 ბეჭის გულწრფელი ცრემლიც მისწვდა, ეს ცოდვითავე
 განთავისუფლების ხარკი... დრამატურგის სოსო გედევ-
 ნიშვილის დაკვირვებით და ნიქაერად შეყვანებული დრამა,
 ნიკო გოციოძის (საქულ) ხელოვან რეჟისურად გამოკვე-
 თილი ხატება. ყოველი ნაბიჯით, აღმოსუბნებით და გა-
 მოხედვით შეხატებული, კ. ხახანაშვილის გორიზი, ავაზა-
 კური, თავისებურ-რეგულირებითი გამომეტყველება ვი-
 ჯოს რომ ახლავს, ს. რომანიშვილის უმანკო, ლეთისიერ
 და საქვეყნო საქმისთვის თავგამოდებული მოხიცი გლე-
 ხის დახატვა ხმით, ნაბიჯით, მორთულობით, ი. მინდა-
 შვილის სოფლის ტიპიურ მამასახლისის განსახიერება — ბო-
 ქალთან რომ მონაა, სახლთან — ბატონი, მელექესთან
 ყლამაი, ზარათაშვილის ასული ტრალიზმით სავსე განცდა,
 თათქო საკუთარი შვილი რისწყვიტეს გულსო, თავღირი-
 ძის დაკვირვებული და შეგნებული თამაში, მარგველაშვი-
 ლის გულწრფელი, სავა იმავე დროს მალაი დრამატი-
 ზმით სავსე დამოკლება, აი, ყოველივე რითაც „მსხვერპ-
 ლის“ I და III მოქმე დასახიერებს და საზოგადოებისგან
 მოწონებაც დამსახურებს. აღსანიშნავია აგრძედე შატრის
 აღმსრულებელი გ. ბაზაიძის ნიქა, ბავშვის (ურემს რო
 მიაგორებენ) შეგნებული და გაბეჭული სიტყვა ასახი.
 ნაცულისა (სალაყაია), ნ. ვაძიაშვილის (მცხოს) და ნ. ჯან-
 ევაძის (მწერლის) ტიპიზობა. კარგი იყო რეჟისურვე-
 ლიც (მოქალაქე). მაგრამ ხმით მანც მებრძველი იყო
 საჭიროა საკუთარი „მეც“ გათქვევდა გასაპიროვნებელ ხა-
 ტებაში. ბოლოს „ქუქისა მკირსა“ ნ. გოციოძემ, ი. მინ-
 დაშვილმა და გ. ანაშვილმა თავისი ცოცხალი და ტიპი-
 ური აღმსრულებით ბევრი აცენეს დამსწრეტი. რეჟისორი-
 ბდა კ. შათირიშვილი. თეატრი ხალხით გატენილი იყო.



შალვა დადიანი
 — ენახით, და მნახვენ თუ ვერა...
 (ძველი შარყები დ.)

შპრილი აზგუზი.

- პირველ ქართულ კლუბში შესდგა ქართველ სტუდენტებისაგან დრამატული დასი II. ქორიძის რეჟისორობით. დასში შედიან: ქ. ი. ქიქოძე, ანჯაფარაძე, გამარკელი, ციმაკურიძე; ბ-ნი ვასაძე, ჭაურელი, სარ-ჩიქოძე, დამამაძე, სარაული, გელოვანი და სხ. დასს განზრახული აქვს ყოველ-კვირული წარმოდგენები.
- მეორე ქართულ კლუბშიც დას შედგა სტენის მოყვარულთა დასი მახ. არაბიძის რეჟისორობით.
- ლიტბარი ს. სტოლერმანი, რომელმაც აფექტის დროს მოჰკლა ცოლი, სასამართლომ გაამართლა.
- ქ. გორის საალმწინებელ კომისიამ ხელგადათა წარამამდგენლად აირჩიეს მხატვარი შვეარდნაძე.
- პარიზიდან უკვე ჩამოვიდა მსახიობი მ. ნანო-ბაშვილი, მიშელ დ. არილ.
- მხახ. ინაშვილის ბენეფისმა სახელმწიფო თეატრში არანველდებიდა ჩაიარა. მსახიობი დიდი პროგრესი ემჩვენა.
- ქართველ მომღერალთა კავშირი ამაზდებს რ. გონიაშვილის ოპერა „ქრისტიან“ ს. რომელიც დაიდგმის სახელმწიფო თეატრში.
- ჩვენს ანაშრომელს მომღერალ-ბარიტონ სე. წერეთელი და მსახიობი ჭიჭიურელს სამ. კონსტანტინოვიმ დაუნიშნა ქართვ. მომღერალთა კავშირის მუდმივი სტუდენტები.
- წერეთელმა დაწერა ვოდენი I მოქმე. „გამაროულტარებულნი და გაბურჭულნი ცილ-ქმარნი“
- მოვანეს თუმანიანმა გორის ფონდს შესწირა 10000 მან.
- ახალგაზდა მგონის კ. ჭიჭიანის საღამო გაიმართება ქართულ კლუბში. სხვათაშორის დაიდგმის ცი-მიიოელი“. როლებს შესრულებენ მწერლები, შემდგ გაიმართება დივერტისმენტ.
- ვისაც მსურს ეურნალის გზავნა არ შეუწყვედს, ჯერ ხნობით უნდა გამოზავნოს 100 მან.

უსაფანი
 მუშტაიძის კლუბში. მარტის 6 რ. გ. ცენტრალურმა კულტურა განმ. კომისიამ მიწის ძვრისგან დაზარალებულ გორელების სასარგებლოდ გამართა საღამო. დასდგეს ბ. არაყიშვილის ოპ. „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და აზნიანს კომ. „გაგურებულნი იმედებში“
 არა ერთხელ დაწერია და აღუნიშნავით, რომ ბ. არაყიშვილის ოპ. „თქმულება შოთა რუსთაველზე“, საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოებია. და ეს მართალიც არის. პირველად რო ენახეს ოპერა სახელმწიფო თეატრში, ჩემს აღტაცებას და სიხარულს საზოგადო არ ქმონდა. ტკბილმა ქართულმა მუსიკამ ისეთი შთაბეჭდილება დასტავა ჩემზე, რომ მისი გადმოცემა არ ძალბის.
 სულ სხვა იყო ეს ოპერა მარტის 6-ს.
 „უსიკოვანო, ფლამანო და ყოველ სიტყვებებს მოკლებული. ჩემის ფიქრით ყველა ეს იმას მიეწერება, რომ ის ძალები, რომლებიც დღემოდღინდენ იმ დამე მონაწილეობას, რასაკლებელია, ზოგიერთების გამოკრებით, ჯერ-ჯერობით სრულიად არ არიან საოპეროდ მომზადებულნი. კარგით აყვანს: ქ. ნ. კალინაძემ — ავასტაძისა და ბ-ნი ლოთიქიანიძე. არა უნახედა ბ-ნ კიფაშვილს.
 რაც შეეხება კომედ. „გაქურებულ იმიდე“-ს, მიუხედავდ მრავალ-გვარ დაბრკოლებების, სცენის მოყვარებებსა გვიარაიანთ ჩაატარეს. ხალხი ბორომად დაესწრო. ბოლოს განმართა ვახშიში აუქციონით, რომელიც დღამდის გაგრძელდა. შემოსავალი დაახ. 40000 მან. იქნებოდა.

ტენარი.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.